საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1490

2013 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ (შემდგომში – კომპანია):

ა) უზრუნველყოს ქ.ქუთაისის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის გასწვრივ, მდინარე რიონის ჭალა-კალაპოტის მარჯვენა სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება;

ბ) უზრუნველყოს იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთისა და შიდა ქართლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში არსებული საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონების მოწესრიგებასთან დაკავშირებული კეთილმოწყობის სამუშოების განხორციელება;

გ) ამ განკარგულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2. კომპანიამ ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განახორციელოს მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი ბ. ივანიშვილი